დასკვნა:**დ03. 3723118001**
თარიღი:**28/04/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2023 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ

მიმდინარე წლის 27 აპრილს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც განისაზღვრა 34 480,0 ათ. ლარით. 2023 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში განხორციელებული ერთი საბიუჯეტო ცვლილების შედეგად პირველი აპრილისათვის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 62 957,28 ათასი ლარით(ეს მაჩვენებელი გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 26 695,0 ათასი ლარით აჭარბებს).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა წინა წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 9039,1 ათ. ლარი(წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2353,9 ათ ლარით მეტი), რაც წლიური გეგმის 20,7%-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 15363,0 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 24,4%-ია.

შემოსულობების კუთხით აღსანიშნავია საანგარიშო პერიოდში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის წლიური გეგმის 67,8%-ით და მშენებლობის დაწყების ნებართვის მოსაკრებლის წლიური გეგმის 86,1%-ით შესრულება.

კომისიამ იმსჯელა 2023 წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ როგორც საბიუჯეტო შემოსავლების აკუმულირების, ისე შესაბამისი ხარჯების დინამიკა ხასიათდება სტაბილურობით, რაც საფუძველს ქმნის მუნიციპალიტეტის წლიური ფისკალური გეგმა წარმატებით შესრულდეს.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის

პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს განსახილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი